საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 554 2019 წლის 15 მარტი ქ. თბილისი

ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ

1. „ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების საფუძველზე და „საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 იანვრის №44 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ 2019 წლის 15 მარტს მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 3 061 940 (სამი მილიონ სამოცდაერთი ათას ცხრაას ორმოცი) ლარი, მათ შორის:

1.1. ადიგენის მუნიციპალიტეტს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადიგენის სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 249 800 (ორას ორმოცდაცხრა ათას რვაასი) ლარისა.

1.2. ასპინძის მუნიციპალიტეტს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ასპინძის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 238 299 (ორას ოცდათვრამეტი ათას ორას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარისა.

1.3. დუშეთის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 402 898 (ოთხას ორი ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი) ლარისა, კერძოდ: ქ. დუშეთში, სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 253 002 (ორას ორმოცდაცამეტი ათას ორი) ლარისა, ხოლო დაბა ფასანაურში სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 149 896 (ას ორმოცდაცხრა ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარისა.

1.4. ხობის მუნიციპალიტეტს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 290 127 (ორას ოთხმოცდაათი ათას ას ოცდაშვიდი) ლარისა.

1.5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – არა უმეტეს 554 881 (ხუთას ორმოცდათოთხმეტი ათას რვაას ოთხმოცდაერთი) ლარისა, კერძოდ: ქ. წალენჯიხის სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 284 037 (ორას ოთხმოცდაოთხი ათას ოცდაჩვიდმეტი) ლარისა, ხოლო წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარში სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრიზ

ოფისის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 270 844 (ორას სამოცდაათი ათას რვაას ორმოცდაოთხი) ლარისა.

1.6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 536 497 (ხუთას ოცდათექვსმეტი ათას ოთხას ოთხმოცდაჩვიდმეტი) ლარისა.

1.7. ონის მუნიციპალიტეტს – ქ. ონში სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 368 799 (სამას სამოცდარვა ათას შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარისა.

1.8. გურჯაანის მუნიციპალიტეტს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით (სოფელი კაჭრეთი), არა უმეტეს 127 261 (ას ოცდაშვიდი ათას ორას სამოცდაერთი) ლარისა.

1.9. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს – სსიპ – საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობის მიზნით, არა უმეტეს 293 378 (ორას ოთხმოცდაცამეტი ათას სამას სამოცდათვრამეტი) ლარისა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების საფუძველზე თანხების გადარიცხვა განახორციელოს მუნიციპალიტეტების მიერ სახელმწიფო შესყიდვებზე გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად.

3. საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთვის გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე 20 000 000 (ოცი მილიონი) ლარით გაზარდოს

„საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**